ჰაიდელბერგშუმენბ ჯონჯია

კომპანიის პროფილი, 2018





„ქართული ცემენტი“

- 2006 წლის მაისში გერმანიის უმსხვილესმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანია ჰაიდელბერგცემენტმა შეიძინა შპს „ქართული ცემენტის“ 51% წილი.
- მოგვიანებით კომპანია საწარმოს 100% წილის მფლობელის გახდა.
- 2017 წლის 28 ნოემბრამდე საწარმოს მესაკუთრე იყო ჰოლანდიაში 1969 წლის 10 აპრილს რეგისტრირებული კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ სენტრალ იუროფ ისტ ჰოლდინგ ბი.ვი.“.

„საქცემეტი“

2006 წლის ნოემბერში ჰაიდელბერგცემენტმა გაავრცელა განცხადება, რომ „საქცემეტის“ განვითარების მიზნით შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალთან ერთობლივ საწარმოს ქმნიდა:

- ჰაიდელბერგცემენტი - 75%
- ჩემექსიმ ინთერნეიშენალი - 25%-ის.

„საქცემენტი“

- შპს „საქცემენტი“ (ამჟამად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“) საქართველოში რეგისტრირებულია 2004 წლის 20 აპრილს;
- რეესტრის თანახმად, საწარმოს მესაკუთრე არის ჰოლანდიაში 2002 წლის 2 თებერვალს რეგისტრირებული კომპანია „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ: გელა ბეჟუაშვილი, რობერტ ბეჟუაშვილი, კლაუს ალფრედ შვინდი, ალბერტ შოიერი,კრისტიან კნელი

2017 - აქტივების კონსოლიდაცია

- შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის შერწყა შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსს და შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას. მანამდე კომპანიას შპს ალგე-მინერალი შეერწყა.
- შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი თავის მხრივ შეერწყა შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას,რომელსაც მანამდე მიუერთდა "რუსთავცემენტი", შპს "მელიზა", კასპიცემენტი, შპს "კავკასიატრანსი" და შპს "კარიერინვესტი".

ჰაიდელბერგცემენტის თანახმად

კონსოლიდირებული კომპანიის მფლობელია ჰოლანდიაში რეგისტრირებული „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი“:

- 50% ჰაიდელბერგცემენტი,
- 50% ქართული „თანაინვესტირების ფონდისა“ და კომპანია Hunnewell Partners მიერ ერთობლივად მართული „ცემენტ ინვესთ ბი.ვი.“

ჰაიდელბერგცემენტის 2017 წლის ანგარიშის თანახმად

- 2017 წლის 10 ნოემბერს ჰაიდელბერგცემენტმა გაყიდა მისი წილის **55%** სრულად კონსოლიდირებულ „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“-სა და მის ქართულ შვილობილ კომპანიებში.
- გაყიდვის ფასმა შეადგინა 20.8 მილიონი ევრო, რომლის გადახდა მოხდა ნაღდი ფულით“

ახალი თანამფლობელები
„თანაინვესტირების ფონდი”

- 2013 ბიძინა ივანიშვილმა დაარსა.
- ფონდის ვებ-გვერდი მხოლოდ ინგლისურენოვანია და ფაქტიურად არ მოიცავს რაიმე სახის ინფორმაციას კომპანიის შესახებ.
- ფონდის შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია მისი დაარსებისას გავრცელდა, თუმცა დღემდე უცნობია ზუსტად სად, რა სახელით და ვის მიერ არის კომპანია რეგისტრირებული.

ახალი თანამფლობელები
„თანაინვესტირების ფონდი”

- ფონდს მართავს საქართველოში რეგისტრირებული შპს ჯი სი ეფ პარტნიორები (404992718)
- მეწილეები იყვნენ: გიორგი ბაჩიაშვილი - 42%, ლევან ვასაძე, რუსეთის ფედერაცია - 16% და უჩა მამაცაშვილი - 42%
- ამჟამად 100% წილის მფლობელი და გენერალური დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილია. ლევან ვასაძემ კომპანია 2014 დატოვა, 2018 წლის თებერვალში უჩა მამაცაშვილმაც დატოვა.

ახალი თანამფლობელები
HUNNEWELL PARTNERS

- მართავს აქტივებს ტელეკომუნიკაციაში, მეტალურგიაში (ფოლადი), უძრავი ქონებასა და მედიაში.
- Hunnewell Partners მართავს წარმატებულ სასამართლო დავების დაფინანსების ბიზნესს Park Street Litigation-ის სახით, რომელმაც ინვესტიცია გააკეთა ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე დიდ საქმეში ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ახალი თანამფლობელები
HUNNEWELL PARTNERS

- კომპანიის მმართველი პარტნიორები არიან: იგორ ალექსეევი, ბენ მარსონი და ირაკლი რუხაძე.
- კომპანიისა და მისი დამფუძნებლების შესახებ ვრცელი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ 2008 წელს გარდაცვლილი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საქმის მასალებში.

„ჩვენს შესახებ“

- ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას არ გააჩნდა ქართული ვებ-გვერდი, დღეს აქვს;
- კომპანია ფლობს ცემენტის ქარხნებს კასპში (1) და რუსთავში (2), ასევე ცემენტის წისქვილს ფოთში, ცემენტის ტერმინალს სუფსაში და 13 ბეტონის ქარხანას.
- ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სტრუქტურის შესახებ;

„ჩვენს შესახებ“

- წარმოდგენილია ქარხნებისა და გამოშვებული პროდუქციის მოკლე აღწერა- მყიდველისთვის სასარგებლო;
- არ არის ინფორმაცია რესურსის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესზე, რომელიც ამ პროცესების გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედებით დაინტერესებული პირისათვის არის მნიშვნელოვანი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
- თბილისი მარათონი
- Quarry Life Award - პროექტი მიზნად ისახავს კარიერების ბიოლოგიური ღირებულების შესახებ ცოდნის გაღრმავებას და წვლილის შეტანას ბიომრავალფეროვნების განვითარებაში.

„კლიმატის დაცვა“

„ჰაიდელბერგცემენტის საერთაშორისო ჯგუფის მიერ საწარმოებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, ფილტრების დასამონტაჟებლად 12 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. ფილტრების პროექტი 2007 წელს დაიწყო და 2008 წლის ბოლოსკენ დასრულდა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, ნაკლები ზიანი მივაყენოთ ადამიანებს და გარემოს. საწარმოებში მტვრის უტილიზაცია 99%-მდეა შემცირებული, **რაც იმის მაჩვენებელია, რომ კასპის და რუსთავის მოსახლეობას გარემოს დაბინძურება ვეღარ შეაწუხებს**“.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას :

- საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- გარემოზე ზემოქმედების შემცირების და/ან თავიდან აცილებისთვის განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.